რევანში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 25 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) – 2:1 (1:1).

თბილისი – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ძიაპშპა, ჩოხელი, ა. კოტრიკაძე, რამიშვილი, ხასაია, ჭკუასელი, ღოღობერიძე, იამანიძე, მესხი.

მოსკოვი – ბელიაევი, როდიონოვი, კესარევი, კუზნეცოვი, სოკოლოვი, იურჩენკო, შაპოვალოვი, მამიკინი, მამედოვი (გოლოდეცი), ფედოსოვი, რიჟკინი.

მსაჯი: ვ. ფრიდმანი (ტალინი).

ზედიზედ ორი მატჩი ერთი კვირის მანძილზე. ჯერ არასოდეს არ ჰქონია ასეთი სიახლოვე კალენდარში თავის ყველაზე ძველ და ყველაზე მრისხანე მოწინააღმდეგესთან თბილისის “დინამოს”. თბილისელებმა სულ ახლახან წააგეს მატჩი მოსკოვის “დინამოსთან” და განვლილ კვირას თასის მერვედფინალში სრული საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ რევანშზე, ეფიქრათ გამარჯვებაზე, რომელთანაც ისინი ხშირად მეტად ახლოს დგანან და კარგავენ ხოლმე მას.

გამარჯვებისათვის ბრძოლის სრული რწმენით გამოვიდნენ მოსკოველებიც. საქმე იმაში კი არაა, რომ თასის გათამაშებაში ფრე არ არსებობს და თამაში მხოლოდ მოგებისათვის წარმოებს. მოსკოვის “დინამო” ამჟამად საუკეთესო ფორმაშია, ჩემპიონობის ყველაზე უეჭველ კანდიდატს წარმოადგენს და სავსებით კანონიერი პრეტენზიები აქვს ე.წ. “დუბლის” მოპოვებაზე.

ერთი სიტყვით, ეს იყო უაღრესად პრინციპული, საპასუხისმგებლო მატჩი და მას საგრძნობლად დაეტყო ორივე გუნდის მოთამაშეთა ნერვიულობა. ეს ცხადი გახდა პირველივე წუთებიდან, როცა მასპინძლებმა სწრაფი იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის კარზე და მოსკოვის “დინამოს” განთქმულმა დაცვამ შეშფოთებით, თითქმის პანიკურად მოიგერია იგი.

თამაში კარგა ხნის დაწყებული იყო და “დიდი ფეხბურთი” არ ჩანდა. მოსკოველთა ფორვარდებმა ვერც ერთი დასრულებული კომბინაციის გათამაშება ვერ შეძლეს. მათი გადაცემები მეორე–მესამე სვლაზე წყდებოდა და ბურთს სწრაფად ეუფლებოდნენ თბილისელები. მაგრამ კომბინაციური თამაში არც მასპინძლებს გამოსდიოდათ – მცირე ხნის შეტევის შემდეგ ბურთი კვლავ უბრუნდებოდა მეორე ნახევარს და ბრძოლა კვლავ მინდვრის შუაგულიდან იწყებოდა.

მიუხედავად ამისა, თანაკლუბელთა მატჩი მეტად საინტერესოდ მიმდინარეობდა. ეს ძირითადად გამოიხატებოდა ათლეტურ ბრძოლაში ცალკეულ მოთამაშეთა და რგოლებს შორის. მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევა მოსკოველებმა ჯერ მარცხენა ფრთაზე სცადეს, სადაც რიჟკინის მისამართით ხშირად იგზავნებოდა გრძელი გადაცემები, მაგრამ ელოშვილი ყურადღებით დარაჯობდა თავის “ქვეშეფს” და საიმედოდ ჰყავდა იგი ჩაკეტილი. სტუმრებმა ვერც მარჯვენა ფლანგზე შეძლეს წარმატების მოპოვება – ჩოხელი მტკიცედ იდგა ზონაში და შაპოვალოვს გასაქანს არ აძლევდა.

განსაკუთრებით დაძაბული იყო ბრძოლა მოსკოველთა თავდასხმის სამეულთან. მამიკინი–მამედოვი–ფედოსოვი! ეს ძლიერი ბირთვი ყოველნაირად ცდილობდა გაერღვია დაცვის ხაზი ცენტრში, მაგრამ ა. კოტრიკაძემ, რამიშვილმა და ძიაპშპამ იშვიათი სიზუსტით და ურთიერთმოქმედებით ჩაატარეს მთელი თამაში.

პირველი ტაიმის განმავლობაში შესამჩნევად იგრძნობოდა პასიურობა ფლანგებზე თბილისელთა თავდასხმაში. ამის კომპენსაცია ხდებოდა ცენტრში, სადაც განსაკუთრებით ძლიერად თამაშობდნენ შუამარბები – ჭკუასელი და იამანიძე. სწორედ მათ შორის იქნა გათამაშებული კომბინაცია 26–ე წუთზე, რომელიც პირველი გოლით დამთავრდა მოსკოველთა კარში: იამანიძემ დაბალი ბურთი გადასცა ჭკუასელს, კესარევი წამით შეფერხდა და თბილისელთა მარჯვენა შუამარბმა დაუყოვნებლივ მიატოვა იგი ზურგს უკან. დარჩენილი იყო მხოლოდ მეკარე. ჭკუასელმა გამოიყვანა იგი კარიდან, მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში გაგზავნა – 1:0.

ზუსტად ორი წუთის შემდეგ მოსკოველებმა გაათანაბრეს ანგარიში. რიჟკინმა მარცხენა მხრიდან მიაწოდა კუთხური საჯარიმო, ს. კოტრიკაძემ მუშტით მოიგერია ბურთი, მაგრამ არასაკმარისი სიძლიერით და შაპოვალოვმა მოთამაშეთა დიდ შეჯგუფებაში შეძლო “ხვრელის” მოძებნა კარისაკენ – 1:1.

ამ გოლს მოყვა მოსკოველთა რამდენიმე სახიფათო შეტევა, რომელთაგან ყველაზე საშიში იყო მამიკინის გარღვევა. რამიშვილმა და ჩოხელმა შეერთებული ძალით შეძლეს კარის უვნებელყოფა.

ამ ანგარიშით – 1:1 წავიდნენ გუნდები შესვენებაზე. მეორე ტაიმში თბილისელებმა უფრო აქტიურად ჩართეს შეტევაში ფლანგები, იერიშსაც მეტი სისწრაფე მიეცა. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო

ბელიაევმა. შესანიშნავად ეხმარებოდა თავის პარტნიორებს კუზნეცოვი, რომელმაც ასეთი თამაშისათვის დამსახურებულად მიიღო ოქმში შეფასება “5”.

მე–15 წუთზე ხასაიამ მოფიქრებულად, ზუსტად გადასცა ბურთი მარჯვენა მხრიდან გარღვევაზე გასულ იამანიძეს, რომელიც სწრაფად მიუახლოვდა კარს და უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი ბადეში – 2:1.

მოსკოველები დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. ასეთ მატჩში ორი ბურთის გატანა მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენდა, ამიტომ მათ მაქსიმალურად მოუმატეს თამაშს, თავდამსხმელები განუწყვეტლივ იცვლიდნენ ადგილებს, ნახევარმცველები ცდილობდნენ შეტევის მეორე ხაზი შეექმნათ, მაგრამ უპირატესობის ხელში აღება მათ ვერ შეძლეს, თბილისელები ბოლომდე თამაშობდნენ მონდომებით და დარწმუნებით და ღოღობერიძეს გონგის შემდეგ ჰქონდა კიდეც ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ მან დააგვიანა დარტყმა და მცველებმა დაკეტეს გზა კარისაკენ.

უკანასკნელი წუთების უაღრესად მწვავე ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. ანგარიშით 2:1 გამარჯვება მოიპოვა თბილისის “დინამომ”.

ბ. ქორიძე.
“ლელო”, 27 აგვისტო, 1957 წ.